ვირა, 29 იანვარი 1917 წ.

რედაქციის ადრესი:
თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

# ეშმაკის მათრახი

№ 5

1917

ინაარსი: მაჯლაჯუნა—თარაში. მხიარული ქურ-ი—პოდბიპენტა. X ის ნაამბობი—A. უქმური—ბუტუ-ა. ნაწყვეტები—ირ. ტოფოძე. დეპეშები. ქალთაგვა—არდოშვილი. მე რა ვიცი?—დია. ინდოურმა მასახ-ლა—მამია. აკაკისებური—როკოკო. ერწოდან—გამოქ-ნეული. ლექსური—ნანა. წლიური ანგარიში—ჩამომრე-ბი. რკინის გზის მთავარი სახელოსნო—კ. ნ—შვილი. კარიკატურები: ულტიმატუმი. უცნაური ს_ნი.

## საბერძნეთში



**საბერძნეთი.** მოიტა, მოიტა, მაგასაც მოინელებს როგორმე კაცი. საჭიროა მხოლოდ ეს ქაჰვებიანი ტყავი გავხადოთ.

# მაჯლაჯუნა

ბოქაული ჩვენი ნაწილისა ბ-ნი კლოპოვი (ყვლეფიაშვილი) მეტათ აღელვებული იყო.

— ვერ წარმომადგენია რას ფიქრობს აი ხალხი!.. „ყაჩაღები და სტრაჟნიკები ვერ გამომირჩევიაო!“ დეიჯინა იმ ყაძახმა და... კი არ იცის რომ მაგვარი შეურაცხყოფა პოლიციისა ციმბირში ამოაყოფიებს თავს!.. ტუტუცები არიან მაგრამ ვაყურებიებ სეირს!—

ბ-ნი კლოპოვი (ყვლეფიაშვილი) მთელი თავისი ამალით დათარეშობდა მაშინ სოფლებში ყაჩაღების შესაპყრობათ. ის ცნობილი იყო, როგორც დახელოვნებული მაძებარი და ამიტომ მთელს მაზრაში ყველანი ირწმუნებოდნენ: ყაჩაღების დღე უკვე დათვლილიაო.

გლეხი,—რომლის სიტყვას ისე აღელვებია პატივცემული მოხელე — იყო პირველი, ვისაც აგრძნობინა პოლიციის ძლევა-მოსილება კლოპოვის ლაშქრობამ.

— შე ქოფაკო, შენს სახლში ყაჩაღები ყოფილან!.. გამოეთრიე ჩქარა და გვიჩვენე სად დაგმალავს, გესმის?—მიმართეს მას წყრომით და დაუშინეს მათრახები.

— ვიღაცები კი იყვნენ ბატონო, მარა რა ვიცი თქვენი ჭირიმე ყაჩაღებია თუ სტრაჟნიკები.. ყველა „პაგონებიანია“, ყველა შეირაღებული და რით გავარჩიო—უპასუხა გლეხმა და მორიდებით მოიხსნა ყაბალახი.

— მაშ შენ ვერ გამოარჩევ ყაჩაღებს და სტრაჟნიკებს?... დაჰკარით ერთი მაგ ღორის კუდს და გამოირკვევა!—ბრძანა მოხელემ და გლეხს სცემს კიდევაც შეუბრალებლად, მაგრამ ის მაინც „ვერ გამოირკვა“ მაშინ შეუკრეს ხელები მაგრა და გაისტუმრეს.

ბოქაულს მაინც არ ეტყობოდა კმაყოფილება. ის საშინლათ გააბრაზა გლეხის სიტყვებმა. როგორ შეიძლება ამისი თქმა, რომ ვერ გამოჩირჩევიაო? განა შესაწყნარებელია ასეთი შეურაცყოფა? განა გაგონილა ასეთი ურჩობა? მას დაწოლის შემდეგაც დიდ ხანს არ დასძინებია. მის გონებაში თანდათან იზრდებოდა დასჯილი გლეხის სახე. იგი შემოიპარებოდა მასთან ღამის სიბნელეში და მისი გულუბრიყვილო გამომეტყველების უკან იმალებოდა რაღაცა ისეთი, რაც მწარეთ დასცინოდა ბოქაულის თავმოყვარეობას. ბოქაული იბრძოდა, შფოთავდა, ბოდავდა. ოთახში მის შარი-ახლო დაწოლილი მცველი შიშით შეჰყურებდა მძინარე ბატონის მოუსვენრობას.

— მაშ შენ ვერ გამოგირჩევია

— ეკითხებოდა სიზმარში გლეხს გაბრაზებული მოხელე.

— როგორ გავარჩიო, შენი ჭირიმე!.. ყველა „პაგონებიანი“... ყველა შეიარაღებულია...

რა ვიცი ან რათ მინდა ვიცოდე თუ რომელია ყაჩაღი ან

— ერთი მაგ არამზადას უყურეთ! რაებს ბედავს!.. დაჰკარით!!.

— უღმერთოებო!—ესმის ბოქაულს მათრახების ტყლაშუნთან ერთად.

— რაო?.. პოლიციის წინაღმდეგობა!.. ბუნტი?.. ჩამოახრჩეთ!!.—ბრძანებს გაცოფებული მოხელე და უკვე არ არის დედა-მიწის ზურგზე ისეთი საზომი, რომლითაც გადიზომებოდეს იმისი გულის წყრომა, და თანაც იმისი ძლევა მოსილება.

გაჩნდა სახრჩობელა. მრძანება წამსვე სისრულეში მიყვანილ-იქმნა მშვიდობიანობის გულისათვის. მაგრამ არ გასულა რამოდენიმე წამიც, რომ გაისმა საზარელი კივილი. დასჯილის ცოლია. ახირებული ჩვეულება კი აქვთ სამეგროლოში ქალებს—კივილი!

— მყუდროებას არღვევთ! ჩაიქნია თავი მოხელემ და მიაძახა: ჩამოახრჩეთ!—ვინ დაუშლის, ის ღმერთია...

აი მოჰგვარეს სახრჩობელასთან ქალი, რომელსაც მისდევენ ფეხშიშველი ატირებული ბავშვები. ჩამოახრჩვეს ქალი მშვიდობიანობის გულისათვის. ჩამოახრჩვეს ბავშვებიც იმავე მიზნით.

მალე რამოდენიმე მხრით მოისმის "დასჯილთა ნათესავების გოდება, და, რასაკვირველია, სისრულეში მიყვანილ იქმნა შესაფერი ზომებიც...

სულ მცირე ხანი და—მთელს მიდამოში მხო-
ოდ შეუწყვეტელი ტირილი და ვაებაა. ნათესავ-
ა ნათესავები არიან, საჭირო ხდება „მოქმედება
ომეტებული ენერგიით“, რომ მაზრის ხსენებულ
აწილში ყველაფერი დაწყნარდეს და დამკვიდრდეს
შვიდობიანობა...

აჰა ყველაფერს „მორჩენ“... და მთავრობა
რთს მშვენიერს დღეს ხედავს, რომ ამ მხრით არც
ეჩივარი და არც პროტოკოლი არ შემოდის..
მიტომაც უქმდება საქმე შემოლეული მომრი-
ებელი მოსამართლისა და მომრიგებელი შუა-
დგომლის თანამდებობანი... უნდა ვსთქვათ რომ
ს ორ ბირი ცუდი თვალით უცქეროდა ყოველთვის
ვენ ბოქაულს უკანასკნელს კი მტრების გულის
ოსაკლავათ უმატებენ ჯამაგირს, ჩინს და გადა-
ყავთ მაზრის უფროსათ რაჭაში, როგორც ინიცი-
ტორი ასეთი მშვიდობიანობისა.

სამეგრელოში გადასახადების მოსაკრეფად რო-
ა გაიგზავნება ახალი მოხელე, უკანასკნელი მთელს
იდამოში ვერავის ჰპოულობს.

მაშინ მთავრობა დაადგება იმ აზრს, რომ მცხო-
რებნი ალბად თავის საყვარელ უფროსს გადაჰყვე-
ოდნენ რაჭაშიო და ამიტომ... მათ გადასახადს
ოაჭველებს უმატებს...

— აქაც თუ დავხოცე ხალხი... ჰმ... ჩაიცინა
ოხელემ, მაგრამ ის უკვე ნახევრათ გამორკვეული
ყო. როცა გაიზმორა და გაახილა თვალები, შე-
ინშნა რომ კარგა ხანია მზეც ამოსულიყო.

— ძალიან კი შფოთავდით, ბატონო, წუხელ!
ოახსენა მცველმა, რომელსაც შიშით მთელი ღამე
არ სძინებია.

— საკვირველი სიზმარი ნავხე, საკვირველი!
ოგონილა გლეხმა პოლიციელი და ყაჩაღი ერთმა-
ეთისგან ვეღარ გაარჩიოს? „ჩორტ ვოზმი.“

**თარაში.**



# მხიარულ ჭურში

**(ნიმუში თანამედროვე პოეზიისა)**

—

„პოეტს იმ კაცს ეძახიან,
ვინც რომ სიტყვას-სიტყვას აწყობს;
აზრი რომ გაუფრინდება,
რითმებს დაუწყებს ძებნასა.“

**სოლ. ზურგიელიძე.**

—

„აბდა-უბდა გადაბრუნდა
ლექსის შეთხზვა ასე უნდა!
ვინც ჩემსავით ვერ გამოსთქვამს
მან თხლე შესვას ერთი გუდა!“

**გრ. ცე-ძე.**

—

შვიდსა სოფელში შვიდი ძაღლი
დაიწყებს ყეფას.
მზე თმას გაშლის, მოწიწებით
შემფხანს კეფას,—
უხვად გადმოჰყრის წითელ ფერის
მთრთოლვარე ტილებს,
ცეცხლის სავარცხლით გადმოვარცხნილ
გადმოხვეტილებს...
ბულბულის კვნესას წაებმება
ყვავის ჩხავილი,
და აკვნესდება სერზე მჯდომი
კატის კნავილი ..
...მოირბენს ჩემთან შლეგი ჭინკა
კბილ დაკრეჭილი,
წელში მოხრილი, დამანჭული
თმა გაკრეჭილი,
ჩამავლებს ხელს და გავქროლდებით
მხიარულ ჭურში,—
ჭრელი სიმღერა გამიელვებს
ორივე ყურში...
აკაკანდება ჩემს ხილვაზე
ჭურის კედლები,
ვით მამლის ლხინზე ნაქეიფი
დინჯი დედლები.

მათგან ანათრთოლ წითელ ვნებას
მეცა ვნებდები,
აზრსა განაქცევს ვერ ვეწევი
და ველარ ვწვდები ..
ჩავჯდები ძირში, როს ქვევრის თავს
გადავხდი როგოს *)
და შემოვიხმობ საქეიფოთ
ბრუტიან გოგოს...
მჩქეფარებს ღვინო! დახტის ჭიქა,
დაროკავს ბოთლი!
ჭურის პირს ასდის ნაწყვეტებათ
გრძნეული ორთქლი!
თავს დაგვციალებს მჭლე სხივებით
დამხრჩვალი მთვარე
ქვეშ კი ამოჩქეფს გრძნების ღვინო
წითლათ მღელვარე.
ავიღებ ხელში ლალის ჭიქას
ღიმით დაფერილს
და ვსწუწნი ცხვირით ჭიქის ჭიდან
ღვინის ქვაფენილს!..
გიჟმაჟობს გიჟი, განაგიჟი
ცალთვალა გოგო,
ბანს აძლევს ცეკვით ანაცეკვი
ჭურისა როგო.
ცას წვდება ჩემი დანატკეცი
მხურვალე ტაში.
წინ მიდგას გობით აგზნებული
მსუქანი ხაში.

—

გაივლის დრო და მე კვლავ ვზივარ
მხიარულ ჭურში,
და მჭლე სიმღერა ჩამრაკრაკებს
ჟანგიან ყურში...

**პოდბიპენტა.**

*) როგოს, გურიაში ეძახიან ქვევრის სარქველს.

* *
*

## X-ის ნაამბობი.

ამ რამოდენიმე წლის წლის წინათ, თეატრ
ერთ ლამაზ ქალს გავეცანი. ერთმანეთით ისე
ვინტერესდით, რომ წარმოდგენა სულ გადაგვა
წყდა. მესამე და მეოთხე მოქმედების დრო ფოიე
ერთ-ერთ ბნელ კუნჭულში გავატარეთ. ერთი მეორ
სიყვარულს ვეფიცებოდით და დადებულ აღთქმ
მხურვალე საბუთებით ვამტკიცებდით.

მას თან არავინ ახლდა, და წარმოდგენის გ
თავების შემდეგ სახლამდე მე მივაცილე. როცა ს
ხლის კარებს მივადექით, და მე გამომშვიდობებ
დავაპირე, მან კატეგორიულათ განმიცხადა:

— ჯერ ჩემს ოთახში უნდა დაჰყო
რამოდენიმე ხანი-ო.

— მაპატიეთ, ქალბატონო, მაგრამ თქვენ
ქმარი? გაკვირვებით შევეკითხე მე.

— ჰმ! სჩანს ჯერ კიდევ არ იცნობთ დედ
კაცს!.. თვალებში ჩამხედა და ზარის ფოლაქს თ
თი დააჭირა. მოსამსახურემ კარები გამოაღო.

— ბატონი სად არის?

— სამუშაო ოთახშია, ქალბატონო.

— „სამუშაო ოთახშია“! ირონიულათ გ
მეორა მან მოსამსახურის სიტყვები და სასტუმრ
ოთახის კარები შეაღო; მეც თან შევყევი.

— „სამუშაო ოთახშია“!.. მე კი... წყალ
წყალი!!! დაიყვირა მან და ტახტზე მოწყვეტით დ
ეცა.

ვიგრძენ, რომ რაღაც კოემედია იწყებოდ
გადავწყვიტე—ანსამბლისთვის ხელი შემეწყო.
დიასახლისის ხმაზე მსწრაფლ შემოიჭრა მოსამსახ
რე და ქმარი.

— წყალი, წყალი! ლუღლუღებდა ის და მკერდ
ხელებს იფათურებდა.

მოსამსახურემ წყალი ჭიქით მიაწოდა, ქმარი კი გ
ცვიფრებით შემოგვცქეროდა—ხან იმას ხან მე.

რამოდენიმეჯერ წყალი მოსვა და ქმარს მ
ლეულის ხმით მიმართა.

— სულ მუშაობ, სულ საქმეში ხარ, მე კი... უპატრონოთ უნდა ვეთრიო...

— ღმერთს გეფიცები—აი, ამ წამში მოვდიოდი.

— მოდიოდი... რამდენი ხანია წარმოდგენა გათავდა, შენ ახლა მიდიოდი. ეს პირველი ხომ არაა? ჩემთან არც წამოხვალ, არც თავის დროზე მომიკითხავ.

— ტყვილათ ხომ არ ვზივარ, გენაცვალე? საქმეები მიჭერენ.

— საქმეები!.. ბარემ შევეჭამე იმ ძაღლებს! უპატრონო ადამიანის სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია!

— რა ძაღლებია, რა მოხდა?

— ისა რომ, თუ ეს ყმაწვილი არა, მე ახლა ნაფლეთებათ ვიქნებოდი ქცეული. აი იმ ქუჩის მოსახვევში ძაღლები დამეხვია... სუნთქვას უმატა და წყალი მოსვა.

— ეტლით რათ არ წამოდი? თანაგრძნობით ჰკითხა ქმარმა.

— ეტლით!!.. წარმოდგენის შემდეგ ნნხევარი საათი შენ გიცადე, და ამ ხნის განმავლობაში ეტლებიც წავიდ-წამოვიდენ.

— ჰმ!.

— შემთხვევით ეს ყმაწვილი მოდიოდა გზათ და წამომეშველა, თორემ... ერთმა ქოფაკმა ის ის იყო კბილიც მომავლო, მაგრამ სწორეთ ამ დროს საოცარის სისწრაფით მოიჭრა ეს უცნობი ახალგაზრდა, თავში რევოლვერი დაახალა; რევოლვერის ხმაზე სხვებიც გაიფანტენ და...

— დიდისაგან დიდ მადლობას გიძღვნი, ჩემო ძვირფასო!—ამ სიტყვებით მოვარდა ჩემთან სიხარულისაგან ცრემლ-მორეული ოჯახის კაცი და ხელი მაგრათ ჩამომართვა. მე გმირის პრზა მივიღე და დინჯათ ვუპასუხე.

— მადლობათ არცა ღირს, ბატონო ჩემო.

— როგორ გეკადრებათ! ძაღლების კბილისგან ადამიანის დახსნა განა ხუმრობაა?.. ხომ მამა-კაცი ვარ, მარა მათი ისე მეშინია, რომ ახლოს ვერ გავუვლი.

— ნუ თუ მართლა?

— ღმერთს გეფიცებით. ჩემი დედა-კაცი ამ შემთხვევაში უფრო გულ მაგარია. მე რომ მაგის ადგილას ვყოფილიყავ, შიშით გული გამისკდებოდა... რაოდენი ვალი დამდეთ, რომ სახლამდინაც მოაცილეთ!.

— მე მხოლოთ ჩემი მოვალეობა შევასრულე.

— თქვენი ვინაობა? უკაცრავათ, რომ ასე გვიან... დიასახლისის „გულის წასვლამ“ გააწყვეტინა სიტყვა.

— გიორგი,—ნაწყვეტ-ნაწყვეტათ, ამოილაპარაკა წყლის პკურებით მობულბულებულმა ქალმა—წადი, გენაცვალე, აფთიაქში, გულის დასამშვიდებელი რამ წამალი გამოართვი.

— ჰო მართლა, ამ წუთში!.. თქვენ ყმაწვილო, მომიბრუნდა მე, სიკეთეს სიკეთე დაუმატეთ და, თუ ძალიან არ გეჩქარებათ, გაუცნობლათ მაინც ნუ წახვალთ. მე მალე დავბრუნდები:

მე მხრები შევაქანე.

— ძლიერ დამავალებთ, ღიმილით მითხრა მან და საჩქაროთ გავიდა.

— ახლა კი ჯკან გამოვყევ, თავმომწონებით მიბრძანა მშვენიერმა მასპინძელმა, როცა ქმარი თავიდან მოიშორა, და წინ გამიძღვა...

—

მას შემდეგ განვლო რამოდენიმე წელმა. ხსენებულ ბანდილოსანთან კვლავ მეგობრული დამოკიდებულება მაქვს, ხოლო მისი ქმრისთანა მოყვარული დედა-მიწის ზურგზე სხვა არ გამაჩნია. სული არ შურს ჩემთვის!..

d.

# უჟმური

ფოთის უჟმურმა გამხადა ავათ,
(მაქცია თითქმის ძვალათ და ტყავათ),
სიშავეს ებრძვის სიყვითლეს ფერი,
(ფათერაკს ელის ქართველი ერი!),
თუმცა სიცოცხლე არ მიღირს ჩირათ
მარა ეგ ხალხი, შავი ზღვის პირათ [1])
ხომ დავამწუხრე, დარჩა ობლათა,
(ვინ ეყოლებათ ამბის მთხრობლათა
ფიქრები შავი გარს შამომერტყა
უფალმა კალთა რომ დაიბერტყა [2])
ქალაქი ესე მე მომაგონდა,
საქმე პატარა იქ სხვაცა მქონდა,
(კერძო საჯიბე-სავაჭრუკანო,
პრინციპის ურჩი კუპი უგვანო,
რა ხშირად ჰყლაპავს ბრძნულ მოსაზრებას
სულის სიმტკიცეს და კაცის ნებას,
მარა უმთავრეს მიზნათ ვსახავდი,
რომ აქ გომართელს მაინც ვნახავდი,
ვითა ჯაინოზს 3) და დოსტაქარსა,
მარჩიელს მაჯის და შემტყობარსა;
რაკი სენი მაქვს მე მრავალ გვარი:
მჭირს მატაურიც და ჯდომის ქარი,—
ვსთქვი: თუ დამჭირდა ოპერაცია
ვანო ამაშიც თავი კაცია;
წამალი მისი, თუნდ ერთი კოვზი,
ყველაფერს კურნავს ვით ჯაინოზი.
რა ამას ამბობს ქვეყანა ხალხი,
განათლებული, თუ ჭკუა თალხი,
გრიშაშვილის „ბრბო“, რუხაძის „ღმერთი“,
(ვის დაუჯერო, რომელი ერთი?!).
მატარებელიც მიადგა ბაქანს.
მილეთის ხალხის უაზრო ქაქანს,
ბარუ-დასხმულ თავში რომ არ ერბინა,
იქვე მოვნახე მეგობრის ბინა.
(ჯერ ბინის შოვნა საშინლათ სჭირდა,
მერე ღამეში თუმანი ღირდა!
თუმცა სტუმარი სახარბიელო
არავისთვის ხარ ოხერ-ტილო),
მეორე დილით ჭაღარა თავი
გომართელისას მე ამოვყავი.
დარბაზი ესე პირველად ვნახე
მოკაზმულობით თვალების მახე,
ნაფოტის [4]) ჭრელ-ჭერ-იატაკითა,
(მკითხავთ, რა მინდა რომ სთქვა ამითა?)
სულ დამავიწყდა სენი და ჭირი,
პოლიტიკისკენ ვიბრუნე პირი,
და მომაგონდა „ერთობის“ ხანა,
(ეს მაშინდელი „ვანოა“ განა?!)
ღირსი არ არის ყურადღებისა,
დღეს „რევიზორი“ თავის ძმებისა?
მას ეს უსაზღვრო ავტორიტეტი,
შეუსაბამო და მეტის-მეტი
დემოკრატიამ არ მიანიჭა?
(უკანასკნელი პირველმა ჰკრიჭა!)
როცა შეგროვდა მატყლი და ტყავი,
აქ სინამდვილემ იჩინა თავი,
ვერ შეიგუა დემოკრატია,
თანდათანობით კიდეც დატია,
მოიმიზეზა ავტონომია,
„შავ“ ხალხთან ყოფნა სჩანს არ სდომია
გვამცნო „უბრალო წერილები“—თა,
(შოვინისტური მჟავე მცნებითა),
თათრიდან გაჰყო სომეხი მუშა,
(თუმც ეს ხუხულა მას ჩაეფუშა)
თათრებს ურჩია ქართველთან შრომა,
სომხებს კი უძღვნა ბრაზი და წყრომა,
„ეს ეროვნული იდეალები“—
(ვერ აგვიხვია თუმცა თვალები),
წამოაყენა მან მედიდურათ,
(სომხებთან მტრულათ, თათრებთან ძმურათ).
მწარე ფიქრებით ვიყავ გართული:
კაცის ცხოვრება მრავალ სართული

---

1) თავს ვაქცევინებ რომლებსაც ხშირად.

2) ძველი გადმოცემით უფალი დედის წილხდომილ ქვეყანაში სავაჭრო მიზნით სერმია ოქროს არიგებდა ხალხში, რაც თფილისში (სოლოლაკში) გაათავა და მორჩენილი ოქროც იქ დაიბერტყა კალთიდან. ქართველები ამ დროს სპარსელებს ებრძოდენ, ხოლო სომხებმა კი გაუმართლეს უფალს განზრახვა.

3) ჯაინოზი ძველათ ექიმი იყო, რომელიც ისე კურნავდა ყოველ სნეულებას, როგორც გომართელი.

4) ნაფოტის იატაკი ქართულათ «პარკეტნი პოლი.»

მდგომარეობით როცა გახდება,
სულის სიმტკიცე თურმე წახდება.
საერთო ბრძოლა კაცს თუ სწყურია,
როგორც ამბობდა „ჩვენი ურია“,
მდგომარეობა ქმნის შეგნებასა,
(ვერც ჩვენ წაუვალთ იმის ნებასა),
ჩემთვის სწყენ., ეს მოგონება,
(ჯოჯოხეთიდან მომეცეს ნება),
რომ ჩვენს მკითხველებს გავუზიარო,
(საექიმოთ.ც სხვაგან ვიარო)
რადგან ექიმი, როგორიც **ვანო**,
გინდა ფოთიდანც ჩამოვიყვანო,
ჩვენს ექიმებთან ცხელებ-ციება
რომ გჭირდეს, არც კ[illegible]გეპატიება...

**ბუტუნა.**

# ნაწყვეტები

* *
*

ეჰ პოეტო! როდესაც შენ
მსოფლიოზე სევდიანობ;
მეც შენსავით ბოლმა მარჩობს,
ამ ცხოვრებას მეცა ვნანობ.
მაგრამ იცი!? კვნესა მოთქმა
და ცრემლები ძლიერად მძულს,
მწუხარებას მე დავსცინი,
და ტირილშიც სიცილი მსურს...

* *
*

მეზობელო! შებრალებას,
არცა გთხოვ და არცა მინდა;
მაგრამ შენმა ქალიშვილმა,
ხათაბალას გადამკიდა...
სულ დამდევდა, მეხვეოდა,
და ჩემს მკერდზე თავსა ხრიდა;
მაგრამ ,,სიტყვა'' რომ დამტყუა
მერცხალივით გამიფრინდა...
მატყუარა აღარც მე მსურს,
მაგრამ ამას გაბარებ შენ :—
ჩემი ,,სიტყვა'' დამიბრუნოს,
თორემ იმას არ შევარჩენ...

* *
*

გარედ ქარი კვნესის, ღმუის,
სახლს აჯახებს ვაშლის ტოტებს;
თბილ ბუხართან ბებია-კი,
მეუბნება ანეგდოტებს: —
ვითომც მუზა პოეტებთან,
მოდიოდეს მრავალ ჯერა;
ყველას ჩანგურს თავაზობდეს,
ვისაც ძალუძს მასზე მღერა.
ვინაც გრძნობით ააჟღერა,
მან მოხიბლა გადიპარა,;
ჯილდოთ მისცა: მგოსნის ნიჭი,
და საჩუქრად ჩანგის წკირა...
და ზოგ-ზოგნი რომ ჩმახავენ,
აბდა უბდა კოჭლ რაღაცებს;
იმათ ჩანგურს, რომ არ წახდეს,
მალე ხელში გამოსტაცებს...

* *
*

როცა ბოღმა გულს მაწვება,
მინდა, რომ ვსვა მუდამ ღვინო;
შიგ ჩავარჩო მწუხარება,
ვილხინო და ვიღიღინო...
ნუ დასძრახავ ნოეს ქეიფს,
მას ავ შვილთა დარდი ჰქონდა;
მიტომ დათვრა, ყურძნის წვენით
და ტალახში ამოგორდა...

**ირ. ტოფაძე**

---

# დეკემბერი

**(ბუტუნას საგენტო)**

**ფოთი**

ბ-ნი ტყემალაძე შუა დეკემბერში თფილისს წავიდა საგანგებო მინდობილობით. იანვარიც ილ-ევოდა, მარა მეურავი არ სჩანდა. ქალაქში ხმა გავ-რცელდა: ტყემალაძე*) შანტაჟისტებს მოუტაცნია

*) შეიძლება ეს ფერსია მართალი იყოს, ვინაიდან ტყემალი ამ ჟამად სახუმარო ნივთიერებას არ წარმოა-დგენს.

**ეშმაკი.**

# უცნაური სენი

**რეპორტიორი.** როგორა ბძანდება მათი აღმატებულება?

**შვეიცარი.** ჯერ-ჯეროობით არა უშავს რა.

**რეპორტიორი.** საოცარია, ეგერ მეორე კვირაა ამ მძიმე თანამდებობას ასრულებს და ჯერ არავითარი სენი არ ამოაჩნდა

# დასავლეთ-რუსეთის გრძოლის პირი


ДВИНСКИ.
ПОЛОЦКИ
ВИТЕБСКИ
ЛЕПЕЛИ
ЛОСИАЙКИ
ДАВГУЛ
ПОЛОЦКИ
ДИСНА
ВИЛЬНА
ВОЗИАНИ
ВОЗИАНИ
ВОЗИАНИ

და 50 ათასი თვითმართველობიზა შეუთვლიათო. მეორე ვერსიით ტყემალაძე თფილისში არხეინათ სცხოვრობდა და ფოთში მინამ არ ჩამოვა სანამ სანოვაგის კრიზისი არ გათავდება რადგან უქმელი თურმე ვერ სძლებს და ფოთში კი დღემდის შიმშილი იდგა. სააგენტოს საგანგებო ძიებამ უკანასკნელი დაადასტურა, მარა ამას დაერთო კიდევ ახალი გარემოება შაქარი და პურით დატვირთული გემი რუსეთიდან და ტყემალაძით დატვირთული მატარებელი თფილისიდან ერთ და იმავე დღეს მოვიდა. ქალაქში ორმაგი მხიარულება ჩამოვარდა, როგორც პური და შაქრის ისე ტყემალაძის მშვიდობით დაბრუნებით, მოწყენილობა მხოლოთ ხაზინადარ გოგიჯანოვს დაეტყო, რადგან მოურავის „სუტოჩნების“ გასასწორებელი ანგარიში კასაში არ ჩაეტია.

—

პაოლო იაშვილის ლექციას ხალხი ბლომათ დაესწრო. ლექტორმა სცენაზე მიიღო მსმენელებიდან ცალიერი ღვინის ბოთლი ზედ წარწერით: **„ნიშნათ უშინაარსო ფორმისა“**-ო იაშვილმა სიამოვნებით მიიღო ძღვენი და საუბარი ცალიერ ბოთლზე გადაიტანა, ლექტორს ღვინო ედგა სცენაზე დროგამოშვებით სვამდა, მარა მარცხი არაფერი უქნია.

# ქალ-თაგვა

(ხალხური)

ერთი კაცი მიდიოდა
გამალებით სადღაც შორსა:
სოფელი რო გადალახა—
და გასცილდა ვრცელ მინდორსა—
მდინარის პირს დაინახა:
ყვავსა თაგვი დაეჭირა
და დახრჩობას უპირებდა,
ნისკარტი წამოეღირა.
რა იხილა მგზავრმა ყვავი
„შეუქშია“ დასაფრთხობათ,
თანაც ჯოხი მოუქნია
ცოდვილ თავის წასაძრობათ...
და ყვანჩალამ, შენაკრთობმა,
მყის შეაშვა თაგვს ბრჭყალები
გადაფრინდა მთას გადაღმა
ეგვულოდა სად ჭალები.
მგზავრსა თაგვი შეებრალა,
ხელთ აიღო საცოდავი,
და შინათკენ წაიყვანა...
ცოლსაც უთხრა ეს ამბავი...
თან ინატრა:—„რა იქნება,
რომ ეს თაგვი ცუგრუმელა,
ლამაზ გოგოთ გადაიქცეს
გაგვახაროს მითი ყველა“?!!
თაგვი მყისვე ქალათ იქცა...
ცოლ ქმარს ნატვრა აუსრულდა,
და შეუდგა მზრუნველობას...
მეოჯახეთ დაფაცურდა...

II

როცა ქალი გაიზარდა—
გაპირბადრდა, როგორც თვარე
ლოყა ლალებრ აუწითლდა
და დაეტყო სინარნარე...
„მამამ“ უთხრა:—მითხარ, შვილო,
ვინ გსურს იყოს შენი ქმარი,
მიპასუხე და გიპოვნი

მთლად რომ შევძრა მთა და ბარი!!.
ქალმა უთხრა:—ჩემსა ქმარსა
უნდა ექნეს ესდენ ძალი,
რომ მის წინა ქედს იხრიდეს
ჯოჯოხეთის ძალთა-ძალი.
რა რომ ქალის ნაუბარი
მამამ კარგათ მოისმინა,
წამს გაიქცა გამალებით
დიად მზესთან მიირბინა...
მოახსენა:—მზევ დიადო
ჩემ ქალს საქმროთ უნდა ისო—
ვინც ყველაზე ძლიერია
ვინაც, ყველას რისხვას ჰგვრისო...
ამ გვარ საქმროდ შენ გიცანი
გთხოვ შეირთო ჩემი ქალი,
იგი მეტათ ლამაზია
ბროლ ყელა და მკერდ ფიქალი...
მზემ მიუგო:—ეჰ საბრალოვ,
შენ ის სულაც არ გცოდნია,—
რომ მე თავზე ღრუბელთ ჯარი
სატანჯველათ დამდგომია...
ვინ სთქვა ჩემი ძლიერება,
როს ღრუბლები სხივს მიკრთობენ?
ღრუბლებს სთხოვე ქვეყნის მეფეს,
შავს ღრუბლებს რო უწოდებენ...
გაეშურა მყის ღრუბლებთან
„მამა“ იმედ აგზნებული,
და გააცნო მასაც ისე
ქალისაგან განზრახული...
მან მიუგო:—შენ, ძმობილო,
არ გცოდნია არაფერი,
ჩვენი ძალა ვინ სთქვა ქართან...
ვის ქედს უხრის ყველაფერი?!.
ძლიერებას თუ ეძიებ
ქარს მიმართე, დამიჯერე,
ქარი ყოვლის შემძლე არის
კლდეს ჰკვეთს მისი სიძლიერე...
რა ისმინა ეგ პასუხი
გაეშურა გლეხი ქართან,
ქარმა უთხრა:—შე საბრალოვ,
ჩემი ძალა რაა მთასთან,
მე—თუმცაღა ძლიერი ვარ,
მაგრამ მთები არ მიშობენ,
ჩემ სურვილს წინ უდგებიან,
სანავარდო გზას მიხშობენ...
მთებს მიმართე თუ გსურს ძალა
შეურყევი და უძლევი
მთა ხომ მარად უდრეკია
და ძლიერი ვითა მდევი!..
გაეშურა მამა მთისკენ
და განზრახვა მოახსენა.
მთამან უთხრა:—არ გცოდნია
ქვეყანაზე არ რა შენა!..
რომ იცნობდე ამა ქვეყნის
შინაარსს და საიდუმლოს,
მაშინ მალე მიაგნებდი
სიძლიერით ჩემზე უფროსს.
—ის მუშაა!.. მისი ძალა
ერთის დაკვრით მინგრევს ძირსა,
ხან სრულად მსპობს... ერთი სიტყვით
თავს მატეხს დიდ გასაჭირსა!..
ინახულა გლეხმა მუშა
და უამბო ეს ამბავი,
უთხრა:—მუშავ, გავიგე, რომ
შენ ყოფილხარ ქვეყნის მძრავი,
შენ ყოფილხარ ერთად-ერთი
ძალა, ყოვლის გარდამქმნელი,
მაშ შეირთე ჩემი ქალი,
ლამაზია, სასურველი!..
მუშა მყისვე დაეთანხმა,
ხელი მისცა, ჰყო დასტური,
აუსრულა „მამას“ ზრახვა,
არ დასტოვა უმადური...

III

და თვით ქალმაც ის ისურვა
ვინც აღმოჩნდა მისი ბედი,
„გადიწერა“ მყისვე ჯვარი
დაუმშვენა მუშას გვერდი!..

ხ. ვარდოშვილი.



# მე რა ვიცი!

მე რა ვიცი ის ვინ არის!
ეხლა ზევით აიარა,
კოხტათ ფეხს კი მიაბიჯებს..
დღეის დღეს ხომ ესეც კმარა.
მე რა ვიცი საით მიდის?
თავი მაღლა აუღია,
სადაც მივა ვინ დაუშლის
კარი ყველგან დახვდეს ღია.
მე რა ვიცი რას სცემს თაყვანს?
ფულებსა თუ ტკბილსა სალამს,
შუბლის ტყავი კი აქვს სქელი,
ნეტავი რათ სტანჯავს კალამს?
მე რა ვიცი სად ისწავლა?
ან რომელ ტაძარში იყო
ახლა ცოდნა ვის რათ უნდა,
ვინ დაგზრახოს რაც იბრიყვო?
ეხლა გაბედულათ მიდი,
კარი აღე, კლიტე ხსენი,
ვირზე შეჯექ (მხოლოდ სწორად)
რა საჭირო არის ცხენი?
ხმა კი გინდა ბოხი ბუნდი
მაღალი და რიხიანი,
ყურში ტკბილათ მოისმენდეს
ბობოლა და დიდ თმიანი.
სჭერი, ჰკეცე, ზომე, საზღვრე.
ჯიბეს იდე, არა უშავს...
მე შენ გეტყვი ღმერთს სცალია,
ან სოფელი ჩაგიფუშავს?

**დია.**

# ინდოურმა მასახელა!

**(რკინის გზის მთავარი სახელოსნო)**

მუაწია „პრიბავკის“ თვემ თუ არა, გავმართეთ ბრიგადირების „უჟინები“!

ივანიკამ გეიშალაშინა ენა და ვინმეს თუ ცხვირი დააცემინა ღვთის ცეცხლათ მუურბენია ბრიგადირს.

ზურაბამ მტკვარში ფიჩხულის თევზისანთლით საძებარი გახადა.

ვალიკომ დალიარიდან ღვინის ჩამოტანით, ორივე გვერდი ისე დაიზიანა, რომ სააპერაციოლამის შეიქნა.

ვასილამ მის ბინაზე ნავთის ზიდვით, მკლავები კოჭებამდი დაიგრძელა.

სიმონიკა ჩაის დუღებაში ისე გეიწაფა, რომ ლაქიის ეგზამენი სულ პიატზე შუუძლია ჩააბაროს.

მარა არ იქნა, ვერა და ვერ მევიგეთ მისი გული.

ბოლოს ისევ მე ჩამაგონა უფალმა.

წავსწყვიტე ინდოურს თავი და ახალ წელაწად დილას მემკვლევათ გამოვეცხადე ბატონს. დაუდექი სმირნაზე, ევიყუდე გულზე მსუქანი ინდოური და მოვყევი ლოცვას.

თან მივაყოლე: ესლი მოჟნა პრიბავიტ მოი პარტია პო დესიტ შაურ მეთქი.

ისე აგისრულდა ყველაფერი ნატვრა, რავაც მე ჩემი თხოვნა ამისრულდა. მევიდა „პრიბავკა“ თუ არა, ჩვენ გევიკარით ათ ათი შაური და სხვებს კი ბოლოკის კუდი! ასე სანაგებო ფრინველია ინდოური. ზოგიერთებს კი იგი სულელ ფრინველათ მიაჩნიათ.

**ძამია.**

# აპაპისეგური.

,,ჰკარ, შეჰკარ, ჩაჰქარ, შეიპყარ!''
გაისმის ბრძოლის ველზედა, —
შინაურებიც ამ სიტყვით,
ფეხებს გვადგამენ წელზედა...

—

,,ჰკარ, შეჰკარ, ჩაჰკარ შეიპყარ!''
დააყაჭვე ქანქარი,
იძახის მამასახლისი,
და მთელი მისი ამქარი...

—

,,ჰკარ, შეჰკარ, ჩაჰკარ შეიპყარ!''
გამოიგონეთ ხრიკები!
გაჰკრიჰეთ მუშა კუდამდე,
ჰყვირიან პოდრაჩიკები. .

—

,,ჰკარ, შეჰკარ, ჩაჰკარ შეიპყარ!,''
ჩვენ კი ჩავიცვათ ფარჩები;
ჩვეულებრივის სიურცხვით
გაიძახიან ჩარჩები.-.

—

,,ჰკარ, შეჰკარ, ჩაჰკარ შეიპყარ!,''
ასიანი გვსურს ტლიკვები
ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს,
ყვირიან ჩინოვნიკები.

—

,,ჰკარ, შეჰკარ, ჩაჰკარ შეიპყარ!,''
გადაათეთრე მინდორი,
ასვარ დასვარე სტატია,
გაჰკივის ჩვენში ც—რი.

—

ჰკარ, შეჰკარ ჩაჰკარ შეიპყარ!,''
ასე სწერია ყველგანა;—
ლამის აშმორდეს ჭაობში
შეცურებული ქვეყანა!

როკოკო.

# ერწოს ამბავი*)

ერთხელ მეც გამომიგზავნე
ძმაო ეშმაკო, სტვირია
ბევრი მაქვ სალაპარაკო,
დიდი გვაქვ გასაჭირია
ამ ჩვენი ერწოს ამბავი
რო გითხრა გასაკვირია,
უზომოთ გაკოტრებული
ჩვენცა გვყავ ერთი გმირია,
ალექსი აფციაური
კაცობით განაწირია,
ბევრი გლეხია ამისგან
ცრემლებით ანატირია.
ტიტველ მინდორზე რო ნახოს,
სხვის ძროხა, გინა ვირია,
მაინც ტაქციას მოითხოვს
იაფია თუ ძვირია.
ახლოს აქვ კანცელარია
შორს წასვლა არა სჭირია,
და მეგობარიც მარჯვე ჰყავ,
მისი ერთგული პირია
სოფიო გახლავთ სახელი,
მისთვის თავ შანაწირია,
იმათთვინ ხალხის ჩივილი,
ვითა კედელში ჩხირია.
ჩამამავლობით, ძველთაგან
გაუმაძღარი სვავია,
სტარშინათ გახლდათ ერთ წელსა,
ამით მასწონდა თავია,
გაგიხარია ბევრ გლეხსა
მან გაუსინჯა ტყავია
მაგრამ უმტყუვნა ყისმათმა
დღე გაუთენდა შავია,
მალედავ გამააბძანეს
დარჩა ქვა დანაკრავია,
როდაჩრჩალიყო კიდევა
ეწვალა საცოდავია.
ამ საგარდნობით შესცვალა
ვასილი ათის თავია
და მის მაგიერ მიხასა
გადაზდვა იმან კავია.*)
ვერცარა მან უშველა,
გავარდა მუქთი ფლავია,
მობრუნდა თავის ქნევითა
გლეხების მომდურავია,
აქეთ და იქით რო დააქვს
ალბათ რო ენა ჰქავია.
ეხლა აქ შესდგა, ძმაო ჯან,
ერთი ახალი პარტია,
სურთ რო მაუსპონ ვაჭართა
ჯიბესა შესამატია,
უნდა გაუხსნან გლეხებსა

---

*) სამწუხაროთ ამ წერილის დაბეჭდვა ერთობ შემოგვიანდა.

*) სოფლის ამორჩეული ათის თავი დამალა და თავის მომხრე პირი წამაუენა.

დუქანი კოპერატია
და კიდეც ცდილობს ეგ ვაჟი
შიგ როგორმე ჰკრას კლანჭია,
და ის ურბენს წევრებსა,
ლამის მოენგრეს კანჭია.
ვაფრთხილებ მეთაურებსა,
თუ რო დამიგდეს ყურია,
თუ არ გამიწყრენ ძალიან.
არ დავრჩი უმადურია,
ეს ვაჟბატონი არ ვარგა,
არც მისი სამსახურია,
ძველ დროს სასოფლო დეპოში
ეს იყო მეთაურია,
და ჯერაც დასდის ხალხს ოფლი
იმ დროთგან მონაწერია.
საამხანაგო დუქანში
გამართა რაღაც ხრიკები
ბლომადა ჰქონდა კახური
ღვინით დავსილი ტიკები
ზაკუსკეული მრავალი
თეფშებზე ქორფა კიტრები,
დუქნის წვრილმანი შეშუდით,
დავსილი იაშიკები.
ბოლოს კი ამა დევ-გმირმა
იშოვნა ქანქარიკები...
და უთხრა ამხანაგებსა:
დუქანმა იზარალაო,
ვერ გვექნა კარგი ვაჭრობა,
დროება შეიცვალაო,
თავნიც ხარჯს ვეღარ ასწორებს
მით გახდა ხათაბალაო
სარგებელს ვინღა ჩიოდა
თავნმაც რომ იჩანჩალაო.

**გამოქნეული.**

# ს. ლიხაური

**(საახალწლო რჩევა აფთიაქარ პ. ნ-ძეს)**

თუ არ გინდოდეს შენ შენთვის ავი,
დიდრონ პირებთან ამოყავ თავი;
იქაც ,,იმასქენ'' აქაც იყავი,
ასეთ ტაქტიკას მარად აქვს ხვავი.

—

არ გაიკარო სიმართლის მთქმელი!
კრიტიკა გძულდეს, ვითარცა გველი;
არვინ დაინდო, მოთალე ყველა,
გაძვერ-გამოძვერ, ჩუმა, ნელ-ნელა.

—

ოდეს გეტყვიან სიმართლეს პირში,
მაშინ ყოფილხარ, თურმე, საშიში.
თავის თავსა სთვლი დიდრამეთ, მარა
,,თავის ქება'' ხომ ღირს გროში ფარა.

—

წამალი სხვაგან თუ მანეთია,
შენ ორი მიგაქვს, ეგ სულ ერთია''
შენაზარხოშმა ჰქენ ცრუ მოწმობა.
და დაამტკიცე, ბეჟუას ძმობა.

—

სამაგიეროს მოგიზღავს ხალხი,
ამ თავით იყოს ერთი მათრახი.

**ნანა.**

# ფლიუერი ანგარიში

**ჭიათურა 1916 წელს***

1. „ჭიათურის ქართულ დრამატიულ საზოგადოებას“ შეუსრულდა ათი წელიწადი. მას მერე მძიმე ავათაა. უვლის გამგეობა ნ. წ-ვას მეთაურობით.

2. მრეწველთა საბჭომ გააჯარათოვა ომისგან დაზარალებულთა და ქვრივ ობოლთა უფასოთ ექი-

*) ასეთი სათაურებით „ჩვ. მეგობარი“ სწერს „ოტჩოტებს“ მაგალითად „სამტრედია 1916 წელს“.

მობისა და რჩევის მიცემის საქმე ექიმ კ-ნის ხელმძღვანელობით.

3. უმაღლეს პირ. დაწ. ვაჟების სასწავლებლის ჰიგიენის მასწავლებელმა, ექ. ს. ჯ-ძემ, დასაბუთებული მოხსენება წარადგინა სადაც ჯერ არს, კვირაში თითო გაკვეთილი ცოტააო.

4. მრეწველთა საბჭოს სატეხნიკო სასწავლებელი ეკლესიათ გადაკეთდა.

5. ბურჯანიძეულ კ.ოოპერაცია „ჩვენ ოჯახს“ ნ. ბუაჩიძე ძალიან შველოდა.

6. წლის დამლევს ადგილობრივ ბადბაზხანაში მამასახლისების კრიზისი დაიწყო, ჭიდაობა ჯერაც არ დასრულებულა.

7. სახ. უნივ. საღამოს კურსებზე 16 მსმენელი დადიოდა.

8. ადგილობრივი ბანკის წევრთა წლიური სხდომა იყო დანიშნული.

9. ადგილობრივი ქალები მარტში შეუდგენ „ქართველ ქალთა კავშირს“ დაარსებას. წესდების პროექტიც გაგზავნეს ქუთაისში...

10. უმაღლ. პირ. დაწ. საქალებო სკოლის გამგე ქ-ნი თფილისში არ ყოფილა.

11 მოსამზადებელი სკოლიდან გაკვეთილების დროს მოწაფეები გარეთ არ გამოუგდიათ.

12. მარგანეცის ქარხნებში სახელმწიფოს თავდაცვისათვის აუარებელი ხალხი მოაწყდა ჩასაწერათ... სამშობლოს გულისათვის ფულსაც არ ზოგავდენო.

**ჩამომრები.**

# რკინის გზის მთავარი სახელოსნო

ჯოჯოხეთისა მფლობელო,
მეფევ ეშმაკთა ტომისა,
თქვენს ყურადღებას სულ იპყრობს
საქმე გარეულ ომისა...
დასთმეთ ცოტა სიამე
ცეპელინებზე ჯდომისა,
გამათრახება ინებეთ
მოძმის სიავის მდომისა.
მთავარს სახელოსნომდე
გზა არ არს ერთი კვირისა
„ვაგონის კეხში“ გაიცნეთ
საქმე მუშათა ჭირისა
აქ არის კერესელიძე,
ქვემორე ბრიგადირისა,
ცნობილი მატარებელი
სხვა გვარი ენა-პირისა,
ბრიგადირს ელაქუცება,
ენაც აქვს ერთობ გრძელია,
და ლაქუცისთვის ჯამაგირს
უმატებს რა სათქმელია,
მისი ამ გზით გამწვრთვნელი
გახლავს ივანე თელია,
მიტომ აცოცდა მაღალზე
ყოფილა მუშა ძველია,
თორემ სტავლით და ჭკუითა
მძიმეთ არა აქვს თავია
ღმერთად ჰყავს ბრიგადირები,
ის მისი სალოცავია.
სირცხვილთან მონამდურავი
ნამუსის გამკიცხავია
და რომ მოუხდეს მათრახი
აბა რა საკითხავია.

**კ. ნ — ვილი.**

# „თანამედროვე აზრი“

## მიიღება ხელის მოწერა 97 წლისათვის

**გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციებში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან სამი თვით 4 მან 20 კაპ., ერთი თვით 1 მან. 40 კაპ**

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაისადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება. ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199, Власію Малакіевичу Бохохадзе.

**თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა № 6.**

## ყოველ-კვირეული იუმორისტიული გამოცემა

# ეშმაკის მათრახი

## მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

ჟურნალის ფასი: 12 თვით 7 მ. —
6 თვით 4 მ. — კ.
3 თვით 2 მ. — კ.
1 თვით — 70 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

**ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ეშმაკი, ხოლო გამოცემის საქმეს კანტორა „განათლება“**

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასალები და ფული ამ ადრესზე: გამოიგზავნონ Тифлисъ, С. Р. Таварткиладзе, Ольгинская, 6, поч. ящ. № 96.


თ. ბოლქვაძე. ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ., № 1